სოფიკო ედიშერაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

ცხინვალის რეგიონის ისტორია, გავრცელებული კონფლიქტები და მისი შედეგები

ძვ. წ. VIII-IX საუკუნეებიდან იწყება ოსი ხალხის ჩამოყალიბება, რომლებსაც ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიებენ სხვადასხვა სახელწოდებით. არაბულ, ბიზანტიურ, სომხურ, სპარსულ დასავლეთევროპულ წყაროებში იწოდებიან ალანებად, ზოგან კი – ასებად. რუსულ წყაროებში ეწოდებათ იასი (ясы), ხოლო ქართულ წყაროებში – ოვსი ან ოსი. ქართველებმა, ქვეყანას სადაც ცხოვრობდნენ ოსები, შეარქვეს ოვსეთი-ოსეთი. სწორედ აქედან არის თანამედროვე რუსული სახელწოდებები Осетия, осетины. თავიანთ თავს ოსები უწოდებენ ირონს (ирон), ხოლო ქვეყანას – ირისთონს (Игрыстон).

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ოსები პირდაპირი შთამომავლები არიან სკვით-ალან-სარმატთა. ოსური ენა ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს განეკუთვნება. ორ დიალექტზე საუბრობენ ოსები – დიგორულსა და ირონულზე. ირონული დიალექტი წარმოადგენს ლიტერატურული ენის საფუძველს. ოსების ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო შეიქმნა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში X-XIII საუკუნეებში [1, 50-52].

XVII საუკუნეში მოხდა ოსების დასახლება საქართველოს მთიანეთში, ხოლო XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოში მიგრაცია. დვალეთში, თანდათან, გაჩნდა კომპაქტური დასახლებები ქსნისა და ლიახვის ხეობებში. XIII-XIV

საუკუნეებში თემურ ლენგისა და თათარ-მონღოლთა შემოსევების შედეგად დვალეთის ხეობებში გადაინაცვლა ბარის მოსახლეობამ, რის შემდგომ კი ჩამოყალიბდა დიგორის, ალაგირის, ქურთათის და თაგაურის საზოგადოებები. ამავე პერიოდში დაიწყო კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ოსების დამკვიდრება და ოსი ხალხის სამხრეთი შტო გამოიყო.

XVIII ს-ის პერიოდში შიდა ქართლის მთისწინეთში, ოსები, ფაქტობრივად არსად ცხოვრობდნენ. XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში იწყება მათი ჩასახლება შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში. პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს იკავებენ ოსები XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ოსეთის როგორც ავტონომიური ოლქის გამოცხადება მოხდა 1922 წლის 22 აპრილს, რომელიც უკავშირდება იმ პერიოდში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, 1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობას და ასევე საქართველოს გასაბჭოებას. ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც საქართველოს სსრ შემადგენლობაში ადმინისტრაციული ავტონომიის უფლებით შედიოდა. კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ წარმოადგენდა ოლქის სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელ სპეციალურ იურიდიულ აქტს, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით (1980) მიიღო. ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, რომელიც შედგებოდა 140 დეპუტატისგან და თავის აღმასრულებელ კომიტეტს ირჩევდა [2, 5-6].

ჯერ კიდევ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდიდან იწყება ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოსურ მოსახლეობას რუს ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა. ეს კი რეაქციებს იწვევდა ოსური მხრიდან. რამდენიმე ოსური აჯანყება მოხდა 1918-

1920 წლებში. დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა აჯანყებების მთავარ მიზანს. ძალადობამ იფეთქა რეგიონში, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ აჯანყების ჩახშობის მცდელობასა და ცხინვალში სახალხო გვარდიის და ასევე, რეგულარული არმიის შენაერთების გაგზავნას.

დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში პირველი კონსტიტუცია საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო. თუმცა მოქმედ აქტად ითვლებოდა მხოლოდ ოთხი დღის განმავლობაში, რადგან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამო მან რეალური იურიდიული ძალა 25 თებერვალს დაკარგა. ამის მიუხედავად, მისი ისტორიული გავლენა ძალზეც მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარებაზე. სწორედ, რომ ამ კონსტიტუციით გამოცხადდა საქართველო დამოუკიდებელ, თავისუფალ და განუყოფელ სახელმწიფოდ. ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა მოწესრიგდა და ავტონომიური მმართველობა აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), ასევე ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი) და სამუსლიმანო საქართველოში (ბათომის მხარე) გამოცხადდა. შიდა ქართლის იმ ნაწილისთვის, სადაც ოსები კომპაქტურად სახლობდნენ, კონსტიტუციით ავტონომიური მმართველობის მინიჭება არ არის გათვალისწინებული [3, 7-8].

1918 წლის 13 სექტემბრის კანონის მიხედვით „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ“, „იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება“, უფლება ჰქონდათ ჰყოლოდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელი. ეროვნული უმცირესობისათვის გათვალისწინებული 26 ადგილიდან, 2 ადგილი იყო ოსებისათვის.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დაიძაბა ქართულ-ოსური ურთიერთობები. ეს პროცესი უკავშირდებოდა 1985 წელს, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობა გააქტიურდა საქართველოში, ამის პარალელურად კი სეპარატისტული მოძრაობები გააქტიურდნენ როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე ყოფილ ცხინვალის ავტონომიურ ოლქში.

1980 წლის 12 ნოემბრის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მოწყობისა და მისი ორგანოების კომპეტენციის დადგენის თვალსაზრისით ყველაზე დეტალურ დოკუმენტს. 1990 წლის 20 სექტემბრის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 22 ნოემბერს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებმა 9 დეკემბერს ჩაატარეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რამაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეუქმნა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა, იურიდიული ძალის არმქონედ და ასევე ბათილად ცნო ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები [4].

მხარეებს შორის დაიწყო პირდაპირი სამხედრო კონფრონტაცია 1991 წლის იანვარში. აღნიშნული ფაქტი უკავშირდება ცხინვალში რამდენიმე ათასი ქართველი სამხედროს შესვლას. რეგიონში, ერთი წლის მანძილზე, დაისადგურა ქაოსმა, აღნიშნულს კი შეიარაღებული დაპირისპირება ერთოდა პერიოდულად.

დაბა ყაზბეგში 1991 წლის 3 მარტს ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი და საქართველოს

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისთვის ერთობლივი მოქმედების შემდგომ მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე, რომ 10 აპრილამდე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო და რუსეთის სფს შინაგან საქმეთა სამინისტრო მილიციის ერთობლივ რაზმს შექმნიდნენ, რომელიც ყველა უკანონო ფორმირებას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განაიარაღებდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ვითარების სტაბილიზაცია ევალებოდა რაზმს. სოჭში, 1992 წლის 24 ივნისს, მოეწერა ხელი ედუარდ შევარდნაძესა და ბორის ელცინს შორის შემდეგ შეთანხმებას – „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, შერეული საკონტროლო კომისია შეიქმნებოდა აღნიშნულ ზონაში შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, ცეცხლის შეწყვეტის მიზნით. კომისია წარმოდგენილი იქნებოდა კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით.

1993-2000 წლების მანძილზე არაერთი შეხვედრა შედგა სხვადასხვა დონეზე, რომელიც მიზნად ისახავდა სიტუაციის დარეგულირებას, ასევე ხელი მოეწერა მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს. მათი მიზანი იყო კონფლიქტის მხარეებს შორის სხვადასხვა სფეროებში ურთიერთობების გამყარება. თუმცა, ამის მიუხედავად კვლავ დაძაბული იყო მდგომარეობა, მხარეთა ვალდებულებები არ სრულდებოდა, შეიარაღებული თავდასხმები კვლავ გრძელდებოდა და დაუცველად გრძნობდა თავს მოსახლეობა.

2001 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ევრო-პარლამენტი „წუხილს გამოთქვამს“ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე, რომ ეს რეგიონები საქართველოს იურისდიქციის, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პრინციპებს გარეთ არის მოქცეული [5, 16-26].

საქართველოს პრეზიდენტმა, 2005 წლის იანვარში ევრო-საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ტრიბუნიდან გაახმოვანა

ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესახებ საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები. ხოლო, იმავე წლის 15 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიაზე გამოსვლის დროს ხაზი გაუსვა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად იმ გარემოებას, რომ „საქართველო მასობრივ წმენდას არასდროს შეურიგდება. ამორალურია მისი სამართლებრივი არგუმენტაცია და ქმნის მომავლისათვის საშიშ პრეცედენტს".

საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა ომი ორივე მხარისთვის. გავრცელებული ცნობებით, 2000–4000 ადამიანი დაიღუპა, ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი სახლები განადგურდა და ათი ათასობით ადამიანი იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი გახდა [6, 9-15].

დღემდე გრძელდება ცხინვალის რეგიონებში ქართველი მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის განათლების მიღების აკრძალვა მშობლიურ ენაზე და, ასევე. ღირსების შელახვა. მეტად საგანგაშოა ეთნიკურ ნიადაგზე როგორც წამების, ასევე მკვლელობის შემთხვევები. მრავალი შეთანხმების მიუხედავად, ცხინვალის რეგიონში 2008 წლის აგვისტოს დაიწყო ომი, რომელიც „რუსეთ-საქართველოს ომის" სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჭიჭინაძე ზ., „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ" (ისტორიული მიმოხილვა), ტფილისი, 1916.
2. საქართველოს პარლამენტის კომისიის აპარატი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მოკლე ისტორია, https://smr.gov.ge/uploads/prev/66c4e7.pdf
3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყება, N11 (591), თბილისი, 1989.
4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, 1990.

5. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატი, ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ, https://smr.gov.ge/uploads/prev/eb7e7f.pdf
6. „ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ,“ ფონდის “ღია საზოგადოება საქართველო სერია N1, 2005.

Sopiko Edisherashvili

Georgian Technical University, in Law and International Relations, Doctoral Student

HISTORY OF TSKHINVALI REGION, WIDESPREAD CONFLICTS AND ITS CONSEQUENCES

Summary

Conflicts on the territory of Georgia, which have led to the violation of territorial integrity, are a very important and at the same time painful issue for any citizen of Georgia.

The reason for this is that these conflicts have caused significant legal and material damage, which is still reflected in the territory of Georgia, its development, material level of the population, their development, relations and many other factors. During the conflicts on the territory of Georgia, a number of crimes were committed, among which the most frequent and grave consequences were genocide and ethnic cleansing. Genocide and ethnic cleansing - these two terms expressed in action are crimes that, if committed, do not simply start an investigation that ends at a specific time with the identification of the accused / accused or the expiration of the statute of limitations. When committed, it goes beyond the state, becomes the center of attention of the world's population, and it forever remains history.